

ნიანგონი

10
წიგნი
ბიბლიოთეკა

გამოსვლის 56-ე წელი. (N- 1572) • მთელი • 1980, მარტი 20 კვირა

ნან. ვ. ლომიანი



— ახლა ამ პროდუქციას უშვებთ?
— არა, ეს ინტრიგანების, შურიანებისა და ხელისუფებულთა სიბრძნის თანდასწავლად სჭირდება ჩვენს ახალ დირექტორს!

კაცი, ვინც სულს ყიდის, —
 კაცი, ვინც ქრთამს იღებს, —
 მტერი არის იგი,
 ვინც არ უნდა იყოს!
 მტრული არის მისი
 გამოსვლა „ლომის“,
 სამშობლოც და ხალხიც
 მისთვის არის ძღვემა!
 ტრიბუნაზე ისიც
 ზოგჯერ დგება ყინვად,
 მაგრამ სიტყვა მისი
 არ ღირს ნაძვის გირჩად!
 არა, არ დაგვინით! —
 მეტი არ მაქვს საქმე! —
 გადახედეთ დიდი
 საქართველოს აკვნებს,
 გადახედეთ შვილებს,
 გადახედეთ ცოლებს,
 გადახედეთ სისხლით
 გადატანილ ბრძოლებს,
 მჭადით გაზრდილ შაშვებს,
 დედის გამრჯე ხელებს,
 თვლით მოწყულ ყანებს,
 მოღალანე ველებს...
 და, ჯანდაბა ჩემ თავს,
 თუ დამცინებთ მერე!..

ელდარ კერევაძე

ბიჭი იყავ და გაიზო..

არსად არაფერს აკეთებს,
 თავისი დღე და მოსწრება,
 თავს მეორეში ამოყოფს, —
 ერთ სავარძელს რომ მოსძვრე-
 ბა.

სულ რაღაცას კი უფრთხობს
 და ხელმძღვანელად ითვლება,
 იცოცხლე, ენოს ნიჭი აქვს:
 სულ თავისაკენ ითლება.
 ერთგან რომ ჩაუფლავდება
 საქმე, გააბამს ქსელებსა,
 სულ სხვაგან წამოსკუბდება,
 ახლა იქ ითბობს ხელებსა...
 ყოველმხრივ უმეცარია,
 ერთში კი მაგრობს მაგრადა :
 იმდენს იპარავს, რამდენიც
 ამყოფებს მდიდრად, ლაღად!..
 იმდენ კაცს იცნობს (ბოდიში,
 კაცებს კი არა, კაცუნებს!),
 რამდენიც ბაცაცობაში
 თბილ ადგილს შეუნარჩუნებს.
 ასეა მოყუნებული,
 თავისი დღე და მოსწრება,
 ბიჭი იყავ და გაიგე —
 ყველა სკამს როდის
 მოსძვრება?!

შოთა არაბული
(ყაზბეგის რ-ნი)




— ასე ცუდად რომ აგებთ, სომ იცი, ეს გზა სად მიგიყვანს?

მანუო რეზის მძიმე წუთები

— ეეჰ, ბედი არა ჰქონია საცო-
 დავს! რა დროს მაგის სიკვდილი
 იყო!.. — ამოიხრა სამი ათას ხუთას
 მანეთად ნაყიდმა ქურქმა.
 — სანყალი ქსენია, რა კარგი ქალი
 იყო!.. — ასლუკუნდა ორიათასმანე-
 თიანი ტყავის სანვიმარი.
 — ამას წინათ შემხვდა! — ცრემ-
 ლები მოერია ოთხას მანეთად ნაშოვნ
 ჯინისის ქვედატანს.
 — რა ეშველებათ ბავშვებს?! —
 ტუჩები აუთროლოდა ხუთას მანე-
 თად ნაყიდ ველვეტის სარაფანს, რო-
 მელსაც, საერთოდ, ექვსას ორმოც-
 დაათ მანეთადაც კი ყიდიან.
 — ცოცხალს ეშველება, მკვდარმა
 იკითხოს თორემ! — ამოინრიპინა სა-
 ნყობიდან ორას ორმოცდაათ მანე-
 თად გამოტანილმა ტყავის შავმა ჩექ-
 მამ.
 — როგორ უყვარდა სიცოცხლე!.. —
 ჩაილაპარაკა ოთხიათასმანეთიანმა
 „დუბლიონკამ“.
 — ვის რას უშავებდა საცოდავი?! —

დაუმატა ბრილიანტის ბეჭედმა, რო-
 მელიც სამი ათას ხუთას მანეთზე
 მეტი თუ არა, ნაკლები არ ეღირებო-
 და.
 — დღესა ვართ და ხვალ არ ვიქნე-
 ბით!.. — ყელში ბურთი გაეჩხირა
 საზღვარგარეთიდან ახლახან ას მა-
 ნეთად ჩამოტანილ ცისფერ როლინგს,
 რომელიც უკვე სამას ოცი მანეთი
 ღირდა.
 რა ფორმის, რა ზომის, სად ნაშოვნ,
 რა ფასიან ტანსაცმელს, ფეხსაცმელს,
 თავსაბურავს, სამკაულს არ ნახავ-
 დით დაკრძალვაში! ისინი დამნუხრე-
 ბულნი, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ ეზო-
 ში და კვლავ მოედინებოდნენ უწყვეტ
 ნაკადად!
 ირგვლივ „დუბლიონკების“, ქურქე-
 ბის, სანვიმრების, ჩექმების, ოქრო-
 ბრილიანტ-მარგალიტების ტევა არ
 იყო!..
 ასლოვდებოდა განშორების მძიმე
 წუთები!..

ნოზალი ბართია



„ნიანგის“

მტირე მნციკლოაეღი



პატივმოყვარეობა

შქველესი და ძალზე გავრცელებული სენია. მას იწვევს მოულოდნელი ანუ ნაადრევი წარმატება, დაწინაურება, სამეცნიერო ხარისხის დაცვა, წიგნის გამოცემა, გამდიდრება და ა. შ.

პატივმოყვარეობა ფებს იკიდებს უმეტესად დედისერთა და ნებივრად გაზრდილ შვილებში, ბედისგან გათამამებულ ადამიანებში, კარიერისტებში.

დაავადებული გაურბის ადამიანებს, იკეტება საკუთარ ნაჭუჭში და ტყვეობაში ატარებს მთელ სიცოცხლეს. იგი ავადმყოფურად არის შეყვარებული საკუთარ პიროვნებაზე. მიიჩნევს მას სიკვდილის, სიბრძნის, კეთილშობილებისა და მშვენიერების განსახიერებად.

სნეული მხოლოდ საკუთარი „მე“-თი საზრდობს, მასზე ფიქრობს და ოცნებობს, მას ესყვარულება, შეტრფის, ეაღერება. ყოველივე სხვა კი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც მხოლოდ მას არაგებს.

დამახასიათებელი ნიშნები: ქედმაღლობა, მედიღურობა, ეგოიზმი (ზოგ შემთხვევაში — ეგოცენტრიზმი), სიჭიუტე, ჭირვეულობა, ნარცისიზმი.

პატივმოყვარე საკუთარ თავში მხოლოდ კარგს ამჩნევს, სხვაში კი ცუდს, ამიტომაც უყვარს თავის ქება და სხვისი ძაგება.

იგი არავის პატივს ათა სცემს და ყველასაგან თავყანისცემას მოითხოვს. სხვის წარმატებას კი ისე განიცდის, როგორც საკუთარ წარუმატებლობას.

პატივმოყვარე თავს თვლის არაჩვეულებრივ პიროვნებად, რომელიც დაბადებულია იმისათვის, რომ სხვებზე იბატონოს. სინამდვილეში კი წონასწორობადაკარგული ადამიანია, რომელიც საკუთარ თავზეც კი ვერ ბატონობს.

მკურნალობის ძირითადი მიზანია, ადვულდინოთ სწიულს ადამიანებთან დარღვეული ურთიერთობა, ვაიძულოთ იგი, მეტი ფულისხმეობა და მზრუნველობა გამოიჩინოს სხვათა მიმართ. რეცეპტად კი გამოიყენოს უბერებელი სენტენცია: „შეიცან თავი შენი!“

ალმანორ თავაკე

ლინოკალი ღაპით შიკას ქე, დაბადებული 1961 წელს, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში. ცნობილი გახდა იმით, რომ მან № 8 პროფექციურ სასწავლებელში სწავლისას უცბად იგრძნო მიდრეკილება სულ სხვა პროფესიისადმი. სახელდობრ, დათიკომ სიბნელე იფარა, რომ ეშოვა „ფარა“ და სხვის ბინაში შეიპარა, მაგრამ რაკი ვერ ნახა ფარა, სხვადასხვა ნივთებს წამოუარა, მერე მეზობლის ბინასაც შეუარა, ხუთასი მანეთი აწაპა და... მილიციაში იუარა.

თალაკვაქე თაშაზ გენოს ქე, დაბადებული 1956 წელს. ადრე ნასამართლევი, თბილისის მაუდ-კამფოლის ფაბრიკის მღებავი; პაპაკარაშვილი ვაქა თენგიზის ქე, დაბადებული 1962 წელს. ადრე ნასამართლევი, უსაქური. მცხოვრები გლდანის მასივში; თბილელი ზურაბ შაქას ქე, დაბადებული 1960 წელს, საგარეჯოს პოლიტექნიკური გექნიკუმის სფუნენგი. ამ ახალგაზრდებმა თავი გამოიჩინეს იმით, რომ სცივენსონური ცნება „მეკობრეობა“ ზღვიდან სმელეთზე გადმოიგანეს და პრაქტიკაშიც დანერგეს — აბორდაჟი გაქსზე მიიგანეს, თბილისში, სამგრედის ქუჩაზე. საბედნიეროდ, გაქსისგს ქომავი გამოუჩინდა... მეკობრეები გაებნენ.

ალბათ კაპიგან ფლინგის მემკვიდრეთა დგაწლს სათანადოდ დააფასებენ სათანადო ორგანოები.

ლაშვაშიქა ალექსი კონსტანტინის ქე, დაბადებული 1925 წელს, გაურკვეველი საქმიანობისა; შოიპა ზურაბ კირილეს ქე, დაბადებული 1927 წელს, არც ამის საქმიანობაა გარკვეული. მათ სახელი გაითქვეს თავიანთი „კაცთმოყვარეობით“: ქ. როსტოვიში 60 კილოგრამი სულუგუნი „თავის ფასად“. ე. ი. 2 მანეთად და 10 კაპიკად იყიდეს. იმის მაგიერ, რომ სამზად გაეზარდათ ყველის ფასი, როგორც სპეკულანტთა წესია, და იგი 6 მანეთად და 30 კაპიკად გაეყიდათ, მათ გულმოდგინება გამოიჩინეს და 30 კაპიკით გააიფუტეს მშვენიერი სულუგუნი — მხოლოდ 6 მანეთად ჰყიდდნენ... და მერე სად — ოჩამჩირის საკოლმეურნეო ბაზარში.

ბარაქალა: მათ სახელებს არასოდეს დაივიწყებენ მაღლივი მყიდველები.

სოფსიუვი ილია რახმანის ქე, დაბადებული 1930 წელს, ადრე სამჯერ ნასამართლევი, მცხოვრები თბილისში, აზიზბეკოვის ქუჩაზე. თავი გამოიჩინა „ადამიანებზე ზრუნვით“ — მთელი თავისი მჩქეფარე ენერგია მძიმე ავადმყოფების გადარჩენას მოაზმარა. მან შექმნა დეფიციტური წამლების კერძო „აფთიაქი“ იმ პაციენტებისათვის, ვისაც ძვირად უღირს სიცოცხლე და ფულს ჩეჩქით აპნევს ამ ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენად. ასეთი კლიენტებისათვის არაფერია, ვთქვათ, ივალურ წამალ „რიფალინი“ 200 მანეთის გადასხდა. მის „აფთიაქში“ ბლომად ნახავთ „ინოზინს“, „როგერას“ შეკვრებს და სხვა დეფიციტურ წამლებს. ეს გამოავლინა ამას წინათ ჩაგარებულმა „ინვენტარიზაციამ“. ამასთან, ილიას ჯიბეზე აღმოაჩინდა 1 000 მანეთი, რაც საქმის გაფართოებისათვის სჭირდებოდა.

ამის შემდეგ ვის შეეპარება უჭვი, რომ ილია ნამდვილი მამულიშვილია?

ნიკოლოზ ბაიბაქონის ქე ბაღდასარიანი, დაბადებული 1947 წელს, მცხოვრები ქ. რუსთავეში, რიქაშაქა ჯავახი ვიქტორის ქე, დაბადებული 1950 წელს, მცხოვრები ვანის რაიონის სოფელ ბზვანში. მათ შესანიშნავად აუღეს ალლო კაპიგალისგური „ცივი ომის“ პოლიტიკას და იგი სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროდან ადამიანთა ურთიერთობაში გადმოიგანეს — ყუმბარით შეიარაღებული ბლდასარიანი და ნაგანომარჯვებული რიქაშაქა ძალის პოზიციოდან უდგებოდნენ ყველას.

„ცივი ომის რაინდების“ გულცივ ზრახვებს ცივი წყალი გადაასხეს მილიციის მუშაკებმა.

კუპრაქა რომან ბორისის ქე, დაბადებული 1957 წელს, მცხოვრები ჭიათურის რაიონის სოფელ მახათუბანში. მახათუბნიდან მახათითა და სხვა ხელსაწყობით შეიარაღებულმა სოფელ გერულისაკენ აიღო გეზი და მიუხედავად სიბნელისა, მაინც მიავნო იქაურ მადაზიას. კარი კი გაგნეს, მაგრამ ის ველარ გაიგო, განგაში ვიღამ აგვნა, როცა მილიციის მუშაკები წაადგნენ თავს.

თოფურიქა მამუქა ოთარის ქე, დაბადებული 1962 წელს, მცხოვრები ქალაქ ზუგდიდში. დიდ შედეგს მიადწია ამანატრბენში. იმდენად დანელოვნდა სპორტის ამ სახეობაში, რომ ქალაქის ქუჩებშიც კი ვარჯიშობდა. სწორედ ასეთი წვრთნის დროს მან ჩანთა წარსვაცა ერთ-ერთ მანდილოსანს და ეს 59-მანეთიანი ამანათი დიდი სისწრაფით გააქანა, მაგრამ რეკორდის დამყარებაში მილიციის მუშაკებმა შეუშალეს ხელი.

აბუილავა ტიტოპო უშკაშვილის ქე, დაბადებული 1949 წელს, სამჯერ ნასამართლევი, მცხოვრები გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში. დანელოვნდა „განსაცემის ქირურგიაში“, იგი უგყუარი ალლოთი პოულობს ფულით შესქელებულ ადგილებს და პაციენტის შეუწუხებლად აკეთებს ოპერაციებს.

ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის შედეგად მაგარებელში მან „პაციენტ“ მეზავრს 1100 მანქით „ხელის ცუჭყი“ მოაშორა და მდგომარეობა მკვეთრად შეუმსუბუქა.

ამჟამად გიგეიკო კვალიფიკაციის გამოსაცვლელ კურსებზეა მივლინებული.

თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკა რომ ბანმაროს დასასვენებელი სახლი არ არის, ეს ყველას კარვად მოეხსენება. მით უფრო გასაკვირველი იყო ის ამბავი, რომ ჯიოვანილი ლალი ალექსანდრეს ასული, დაბადებული 1949 წელს, მცხოვრები შრომის ქუჩაზე, ზარბაქოვა ალექსანდრა ივანეს ასული, დაბადებული 1942 წელს, მცხოვრები გლდანის მასივში და იქვე მცხოვრები, 1928 წელს დაბადებული ავაიქიანი ულისაბად ავატისის ასული, ყოველ დღით გამხდრები შედიოდნენ ფაბრიკაში სამუშაოდ, საღამოთი კი გასქელებული ბრუნდებოდნენ შინ.

ისინი სწორედ საეჭვო სიმსუქნის პერიოდში შეამოწმეს და მათ, ნამავი ქონის სახით, 297 შეკვრა „ლუქსი“ აღმოაჩინდათ. მკვლევარები ახლა სიგამხდრის მიზეზით დაინგერესდნენ და მათ ბინებში 500 შეკვრა „კოლნეტი“ აღმოაჩინეს.

ხანდახანოვილი გატიანა ჯარონის ასული, დაბადებული 1951 წელს, მუქთახორა, მამულაქე თაშაქ ვლასის ასული, დაბადებული 1952 წელს, მუქთახორა, ადრე ნასამართლევი. მათ არაჩვეულებრივად გულთბილი მიღება მოუწვევს ერვენულ სფუმარს, გააცნეს რუსთავის ღირსშესანიშნაობანი და, შთაბეჭდილებების შესაჯამებლად, ბოლოს ქალაქის პარკში შეიყვანეს... სფუმარი მასპინძლობის სხვანაირ გაგრძელებას უფრო ელოდა, მაგრამ „კეთილმა ფერებმა“ სახე იცვალეს, ყელში დანა მიაბჯინეს, სისხლიც აღინეს და საათი და 80 მანეთიც წართვეს.

იკონიული ლირიკა

სახელს ყველას ეცილება — ფილოლოგს თუ ენდროლოგს, თავის თავზე რა არ შეთხზა, ხალხს რომ დიდი ეგონოს. უცებ მოკვდა, როცა წერდა თავისსავე ნეკროლოგს.

ყველაფერი, რაც მოგივა, შენს თავზე ახი. შვრუსი რომ არ გიყვარდა, ხომ დაგიკრეს ბანი.

ჟანდო უმოგადემ ახალ ბინაში შვიდჯერ აღნიშნა „ნავასელია“, შვიდჯერ ვისხედით გელევიზორთან — ფილმს ვუსურვებდით მრავალსერიანს.

ბორშის დაყოლა კომპოგი და ეს ეგონა კომფორტი.

სიკვდილის არ აქვს შიში, გული იმაზე წყდება, თავის ქელენის სუფრას რომ ველარ დაესწრება.

კალმონური ლექსები გვიზის სიმწრის გოლფასად: მოკოლადად ვიყიდეთ, ვერ ვასაღებთ მონპასად.

— „ისევ შთვრალი ხარ, ცეზარი?“
— „ფნიზლად ვარ მესაზღვრესავით!“
— „სახე რადა გაქვს წითელი?“
— „მცხენია, რომ ვარ ფნიზელი!“

როგორც იქნა, მოაბრუნა კისერი და ჩაეშვა სავარძელში მძიმედ. „ზალაგოი ზაიმივით“ მიცქერის, ვით გასინჯულ ლაგარიის ბილეთს.

რეჟისორი დასადგმელად პიესას რომ ეძებდა, სამოცამდე წაიკითხა, ვერ მოხიბლა ვერც ერთმა. რაღა ექნა, ბოლოს მაინც თავისსავე შეწერდა.

„მუნამბაზო“, ოი, რა ჯამბაზი ხარ, ჯაზი ხარ თუ კაცის გულის ბრაზი ხარ?! ხმაურით რომ ყველას თავზე გვაზიხარ, ერთი სიფყვა გვათქმევინე, რა მოხდა?!

ნაგაზს ყეფა, აბა, ვინ დაუფასა?! რომ გაჩუმდე, ვევედრებით უფალსა, ერთმანეთის ხმა არ გვესმის სუფრასთან, წერილობით გვადღებდნენ თამადა!

მხოლოდ მისი დარგის ხალხი დარდობდა, მისმა დარგმა წაასვენა სირბილით. სხვა დარგებს რომ არ ავადებდა დარგებად, წილად ერგო „დარგობრივი“ სიკვდილი.

არ ეძინება ფნიზელ ყარამანს, წევს და საწოლში ხვნიშის: — რამდენი კარგი სუფრაა ამაღამ ცუდი თამადის ხელში!

საოცარი ხალხი ცხოვრობს, თურმე, ბულგარეთის ქალაქ გაბროვოში: ამას წინათ ნაუიკითხე, როგორ გააჩერა გაბროვოელმა ღამით საათი, ნაწილები არ გაუცვდესო.

სასაცილოა, არა? სასაცილოც არის და საფიქრალიც!

გაბროვოელები თუ ასე ხელმომჭირნე და ყაირათიანი ხალხია, ჩვენ რა ცოდო გვიდიდებდა, რომ გავიძახით, ტყე ჩვენი საუნჯეაო?! ვნერო ტყეზე ლექსებს, სიმღერებს, მოვა ზამთარი და... ვჭრით, ვჩეხავთ, ვლენავთ, ვწვავთ უძვირფასეს ფიჭვს, მუხას, ნაბლს, ნიფელს!.. ალბათ ამიტომაც არის ჩვენში ხე-ტყე დეფიციტი, სანთლით საძებარი და ეს მაშინ, როცა ტყის დაზოგვის, ეკონომიურად ხარჯვის უამრავი საშუალება გვაქვს.

... ახლახან საბურთალოზე მოხვედი. მშენებლებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის შენება დაემთავრებინათ. მშენიერი შენობა იყო. თეთრად ბრდღვიანებდა მზეზე. ირგვლივ ახალმოსახლები ფუსფუსებდნენ. შევცქეროდი და ვტკბებოდი. უცებ ჩემს წინ ფანჯარა დაეცა. შემდეგ — კარი თავისი ჩარჩოთ, შემდეგ



— პარკეტის ფილები და კარნიზები ნაპოვიდა, ჯერ კანტიკუნტად, მერე სეტყვასავით. ავიხედე, მე-11 სართულიდან ყრიდნენ. სწორადაც იქცევიან, — გავიფიქრე, — სხვა მშენებლობაზე გამოდგება.

— ცოტა ფრთხილად! — შევძახე, — იმტერევა! — თუმცა დაიმტერეს, — დავძინე, — რას ვკარგავთ? რაც დაიმტერევა შეშად გამოდგება! დაიზოგოს ტყე!

შემდეგ ცვიოდა აგური, მეტლახის ფილები, ელექტროგაყვანილობის, სანტექნიკის დეტალები. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საქირთა მშენებლობისათვის და რა თქმა უნდა, ყველას უხაროდა.

მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. მოულოდნელად დადგა კორიანტელი, ნაპოვიდა ნანგრევი მუტონისა და გაჯის ნიაღვარი და ეს ძვირფასი შემაც

ცყე ჩვენი სიხდი-რეა

და მასალაც რამდენიმე წუთში ერთიანად დაიმარხა.

ყველა აღშფოთდა. — შეიძლება ასე ქაოტურად ნგრევა?! — ამბობდნენ.

გულმა ვერ მომიტმინა და მე-11 სართულზე ავიჭერი.

— ბოდიში, თქვენ მშენებლები ხართ? — ვკითხე ერთს. ხელმძღვანელი ჩანდა.

— მშენებლები უკვე ნავიდნენ, ჩვენ მნგრეველები ვართ! — მიპასუხა.

— მერე, მნგრეველები რომ ხართ არ უნდა შეგეძლოთ ნგრევა ნესების დაცვით, საქმის სიყვარულით და, რაც მთავარია, თანმიმდევრულად?

— თანმიმდევრულად?

— დიახ, თანმიმდევრულად. პირველ რიგში ჩამოანგრეთ გაჯი თავისი ელექტროგაყვანილობით, მერე აყარეთ მეტლახის ფილები, ფრთხილად გადადით სანტექნიკაზე, აქედან მიჰყევით კედლებს, კედლებიდან საძირკვე... საძირკველი იყოს... კედლებიდან გადადით ჭერზე და ნგრევა პარკეტითა და კარ-ფანჯრით დაამთავრეთ!

მნგრეველმა მიყურა, მიყურა შემდეგ მუშაობას თავი დაანება და მითხრა:

— გამობრძანდი აივანზე, გადახედოთ ქვეყანას და ისე ვილაპარაკოთ! იმ ახალ თეთრ კორპუსებს ხედავთ?

— ვხედავ.

— ახლა გვეითხებით, რემონტის დაწყებამდე, იმ ბინებს დანგრევა უნდა თუ არა?

— რასაკვირველია, უნდა.

— მერე, ვინ დაანგრის ნესების დაცვით, საქმის სიყვარულით და თანმიმდევრულად?

— მე რა ვიცი?!

— საქმეც ისაა, რომ არავინ არ იცის! ყველა ამუნებს, ნგრე-



ილუსტრაციები ბ. ლომიძისა

ვაზე კი კაცი არ ფიქრობს, ამიტომაც არის, რომ ანგრევენ არასპეციალისტები — მობინადრეები, მობინადრეებსა წათესავეები და სხვა მემონსტროტი პირები.

— აბა, რა უნდა ექნათ?

— რა უნდა ექნათ და, იმდენი ავაშენოთ, რამდენის დანგრევასაც ვასწრებთ. თორემ რა გამოდის? აშენებენ ახალი ტექნიკით ჩქაროსნული მეთოდებით ჩვენ კი ვანგრევთ პრიმიტიულად და, რა თქმა უნდა, ფეხდაფეხ ვერ მივდევთ მშენებლებს.

— თვით მშენებლებმა რომ დაანგრის? ტექნიკა აქვთ, საქმეც ესმით!

— როგორ?

— როგორ და უბრალოდ: პარკეტი დააგონ — აყარონ, კედელი შელესონ — ჩამოფხიკონ, კარ-ფანჯრები ჩასვან — ჩამოხსნან. მერე ყველაფერი თანმიმდევრულად გადმოყარონ აივნიდან...



— არ გამოვა!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მაშინ სულ არ დააგებენ, არ შელესავენ, არ ჩასვამენ, ისე გადმოყრიან აივნიდან.

— ჩვენც ეგ გვინდა! — შევძახე გახარებულმა, — მობინადრეებიც დავგლოცავენ, გადმოყრილ მასალას კი შეშად გამოვიყენებთ, მთიან რაიონებს გაუფზავნი!

— მერე გაუფლესავად, დაუგებლად მიიღებს კომისია სახლს?

— არ მიიღებს! — ვალიარე მე.

— ეგაც არ იყოს, შენი აშენებულის დანგრევა ძნელია, ვერ გაიმეტებ! ისევ სჯობს, სხვამ დაანგრის!

რაღა უნდა მეთქვა? ნამოვედი განბილებული დაბლა რომ ჩამოვედი ნგრევა გრძელდებოდა. ანგრევდნენ ალტაცებით, აღფრთოვანებით და არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ ზამთარიც მოვა და, ჭუფრო გონიურულად საქმის სიყვარულით რომ ვანგრევდეთ ახალ ბინებს, ქალაქი სოფლებს მოამარაგებდა შემით და გადავარჩენდით ტყეს — ჩვენს სიმდიდრეს, ჩვენს საუნჯეს!

დაავადებები... მამლეპი

მამლეპის ოლქში (ბირმა) დაავადებულნი 46 მამალი. თანაც უბრალო კი არა, „მოჩხუბარი“ ყიცილიყოები. მათთან ერთად საპრობილეში ჩასვეს პატრონებიც. მათ დაარღვიეს კანონი, რომელიც კრძალავს მამლეპის ჩხუბს. კანონი კი იმისათვის გამოსცეს, რომ ეს ორთაბრძოლები მეტად შემზარავი სანახავია და წარმოდგენებზე აზარტისა და აჟიოტაჟის სულისკვეთება სუფევს.

უსასრულოა?

საზრანბათში არაერთხელ აღძრეს საკითხი, ქალებისათვის ნება დაერთოთ გათხოვების შემდეგ დაეტოვებინათ ქალიშვილობის გვარი. იუსტიციის სამინისტრომ ამას წინათ ამ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოაწყო. გამოიკვია, რომ არჩევანის უფლების იდეას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა მესამედზე ნაკლებმა. ასევე უარყოფილ იქნა კომპრომისული ვარიანტი, რომ თავის გვარს ქმრისა დაემატოს. და აი რატომ. შვილებს, რომლებიც მშობლებისაგან ორსაფეხურიან გვარს მიიღებდნენ, ხომ შეიძლება ცხოვრების თანამგზავრად ასეთივე ორმაგი გვარის გულისწორი შეხედვით? პოდა, მაშინ მათ უკვე გაოთხმაგებული გვარის ტარება მოუხდებოდათ. ახლა, ვთქვათ და, მათ უკვე მათმა შვილებმა მიბაძეს? მაშინ..

დოლარზე გამიჯნურებულნი

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე დინჯად მიაბიჯებდა სოლიდური შესახედობის მამაკაცი, მის-

კენ კი ხელიხელგადახვეული ახალგაზრდა წყვილი მოემართებოდა. უცბად ვაჟმარეველვერი იძრო, მაგრამ იარაღმა უმტყუნა, ჯენტლმენმა მოასწრო და თავისი რეველვერი დაახალა მკვლელს. თვალისდახამხამებაში ქალიშვილმა თავისი დამბაჩით გააგორა სოლიდური შესახედობის მოქალაქე. ამასობაში პოლიციაც გაჩნდა და ქალიშვილი დაავადებულა. 21 წლის ბლანშ რაიტი

ნიუ-იორკის კრიმინალურ ისტორიაში პირველი მშვენიერი სქესის დაქირავებული მკვლელი აღმოჩნდა. ისა და მისი „მიჯნური“ ადამიანის „გასაღებაში“ 10 ათას დოლარს იღებდნენ. ამასთან მსხვერპლის სიფხიზლე რომ მოედუნებინათ, შეყვარებულ წყვილს თამაშობდნენ.

უწყება—საიქიოში

„ქალბატონო, მაქვს პატივი, გაცნობოთ: თქვენი გარ-

დაცვალების გამო აღძრულმა გამოძიებამ გვიჩვენა, რომ არ არსებობს პროკურატურის მიერ მის ვარემოებათა ოფიციალური განხილვის იურიდიული საფუძველი. დადგენილი წესის მიხედვით თქვენი სიკვდილის მიზეზების შემდგომი გამოძიება წყდება. გნამდეთ თქვენდამი ჩვენი უღრმესი პატივისცემა“. ეს წერილი, როგორც ასომიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, პარიზის ნანტურეს გარეუბნის

პროკურორმა გაუგზავნა... თვით შიცვალეულს.

ცხოვრება ასაც კვირდება

სოლომონის კუძულეების დედაქალაქ პონიარში გამოცხადდა, მკურნალობის ფასი ძვირდება. ამ ბოლო დრომდე პაციენტი საავადმყოფოში მისვლისათვის ერთ ცალ კარტოფილს იხდიდა. ახლა ეს „ფასი“ შენარჩუნებულია მხოლოდ ჩვეულებრივი სამუშაო საათებისათვის. თუ ღმერთი გაგიწყრა და ექიმებს სხვა დროს, ან შაბათ დღით მიმართე, მკურნალობისათვის უკვე ხუთი ცალი კარტოფილი უნდა გადაიხადო. შაბათი დღის მეორე ნახევარში, კვირადღით და დღესასწაულებში კი ექიმს ათი ცალი კარტოფილი უნდა მიართვა.

სილაგაზის ვერ გაუძლო

ავსტრალიის ქალაქ პერტში მიმდინარეობდა „სამყაროს დედოფლის“ კურთხევა. ფიცარნაგის შუაგულში დაწულ ტახტზე გაბადრული იჯდა სილაგაზის ახალი დედოფალი—18 წლის ვენესუელელი მარიტა საილერო. მოულოდნელად ტახტი შეირყა. ფიცარნაგი ჩატყდა და ორ ათეულზე მეტი კონკურსის მონაწილე, ფოტორეპორტიორები და ჟურნალისტები ქვევით ჩაცვივდნენ. ავარიის შედეგად „მის მალტა“ და „მის თურქეთი“ საავადმყოფოში გააქანეს. „მის ინგლისი“ ოდნავ დაშავდა. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონს „მის ბრაზილია“. და არა მარტო შიშისაგან — თურმე ნუ იტყვით — სამი ათას დოლარად ღირებული მისი კაბა ნაფლეთებად ქვეულიყო.

ქალბატონი ტეტჩერის კონსერვატიული მთავრობა აჩქარებს ამერიკის შეერთებული შტატების გემების განხორციელებას ინგლისის მიწა-წყალზე განალაგოს ახალი ტიპის რაკეტულ-ბირთვული იარაღი.

ნახ. ბ. ლომიძისა



ახალი მოდის თავსმოხვევა-დახვევა

„ნოვოა ვრეშია“